



## საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია

### პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2022 წლის 29 აგვისტოდან 3 სექტემბერის ჩათვლით ქ.ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გლობალური პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით. ამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით მოგვიანებით.

კონფერენციის სექციები და თანათავმჯდომარეები:

- ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია და რიცხვთა თეორია (მიხეილ ამაღლობელი, მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, ემზარ ხმალაძე)
- დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები (როლანდ დუდუჩავა, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე)
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა (ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე)
- მათემატიკური ფიზიკა (ალექსანდრე კვინიხიძე)
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა (ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია, ესტატე ხმალაძე)
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი (ვახტანგ კოკილაშვილი, გიორგი ონიანი, შაქრო ტეტუნაშვილი, გიორგი ტეფნაძე)
- ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი (ბესიკ დუნდუა, შალვა მალიძე, მიხეილ რუხაია, კოსტანტინე ფხაკაძე).

**თემატური მინისიმპოზიუმები:** მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინისიმპოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით **2022 წლის 15 ივნისამდე** შემდეგ მისამართზე: [conferences.gmu@gmail.com](mailto:conferences.gmu@gmail.com)

მინისიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

**რეგისტრაცია:** წინასწარი რეგისტრაციისთვის ეწვიეთ კონფერენციის ვებგვერდს <http://gmui.gtu.ge/Batumi2022/index.html>

ინფორმაციას სარეგისტრაციო გადასახადის შესახებ მიიღებთ მოგვიანებით.

თეზისის წარდგენა: ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს <http://gmu.gtu.ge/Batumi2022/indexe.html> და გაიარეთ რეგისტრაციის საწყისი ეტაპი, ატვირთეთ თქვენი თეზისის LaTeX და pdf ვერსიები 2022 წლის 15 ივლისამდე.

დაგვიანებით წარმოდგენილი თეზისი არ გამოქვეყნდება თეზისების კრებულში. თეზისი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს LaTeX ფორმატში, შაბლონის მიხედვით. სხვა ფორმატში გამოგზავნილი თეზისი სამეცნიერო კომიტეტის მიერ არ განიხილება. თითოეული თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონში მითითებული წესები. შაბლონის ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდან.

გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია მოხსენების სათაურის ქართული ვერსიის მითითება რეგისტრაციის დროს.

**შენიშვნა:** რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი გამოქვეყნდება თეზისების კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ.

**მნიშვნელოვანი თარიღები:**

**15 ივნისი, 2022** - მინისიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა.

**15 ივლისი, 2022** - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა.

**20 ივლისი, 2022** - მოხსენებების მიღების დადასტურება.

**31 ივლისი, 2022** - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების ჩართვა თეზისების კრებულში.

დამატებითი ინფორმაცია მოცემული იქნება მეორე შეტყობინებაში.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,  
კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე,  
პროფესორი **დავით ნატროშვილი**

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,  
პროფესორი **ალექსანდრე მესხი**